



ოქმი:ო37.37210462

თარიღი:15/02/2021

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ.ზოიძის  
ანგარიშის მოსმენის სხდომის**

**ოქმი**

2021 წელი, 12 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

14.00-14.30 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გიორგი ღურჯუმიელი-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე გ. ღურჯუმიელი მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, რომელიც ამჟამად განხორციელდება ონლაინ რეჟიმში, განაცხადა, რომ მ.ზოიძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიების, მასთან არსებული გენდერული საბჭოს მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა მ. ზოიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციისა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა სოფლების შიდა გზების რეაბილიტაცია, მაგრამ გადაწყვეტილია სოფელ ციხისფერდის გზის რეაბილიტაცია, რომელსაც მოითხოვენ ამომრჩევლები.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ მ. ზოიძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, გამოთქვამს აზრს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომ გადასაწყვეტ პრობლემებზე, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანმიმართულია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

გიორგი ღურჯუმიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

